



1979/3-60/22 2 07032022

1979/3-60/22

07-03-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ვახტანგ გომელაურს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია 2013 წლიდან დღემდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლით, ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ პირთა რაოდენობისა და ასეთი პირების არსებობის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოყენებული სანქციის ზომის თაობაზე.

შსს-ს დებულების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში ნათქვამია, რომ უწყება პასუხისმგებელია დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მომაწოდოთ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებთან ბრძოლის სტრატეგიის დოკუმენტი, რომლითაც შსს ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენციისა და გამოძიების პროცესში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნონა მამულაშვილი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 5 22 00731078



21/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნონა მამულაშვილს

ქალბატონო ნონა,

2022 წლის №1979/3-60/221 მომართვის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ "სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანების დანართის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა თაობაზე საქმეები განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას.

პატივისცემით,

შ.ს.ს.

მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე დარახველიძე

